# საექსპერტო დასკვნა

ანგარიშზე „ქ. თბილისში, დიდ დიღომში შპს. „ამხანაგობა ჩვენი სახლი“-ს კუთვნილ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტირებისათვის გამოყოფილ ნაკვეთ 038/829-ის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესახებ“.

შპს. „ჩვენი სახლი“-ს ხელმძღვანელობის თხოვნით, ჩვენს მიერ 2017 წ. იანვარში შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, დიდ დიღომში შპს. „ამხანაგობა ჩვენი სახლი“-ს კუთვნილ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ ნაკვეთზე 038/829 ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

**შემოწმების მიზანი:** დადგინდეს ქ. თბილისში, დიდ დიღომში შპს. „ამხანაგობა ჩვენი სახლი“-ს კუთვნილ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ ნაკვეთზე 038/829 ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია ი.ნ. „მშენგეო“-ს გეოლოგიური ჯგუფის მიერ 2014 წლის ივნისში. სამუშაოს უშუალო ხელმძღვანელი ინჟინერ-გეოლოგი დავით შანიძე. ლაბორატორიული სამუშაოები გრუმტების თვისებების დასადგენად ჩატარდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გრუნტების მექანიკისა და ფუძე საძირკვლების კათედრაზე.

**საექსპერტოდ გადმოცემულია:**

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე ---------- 10 გვ.
2. ტექნიკური დავალება ---------- 1 გვ.
3. კომპრესიისა და ჭრის გრაფიკების ცხრილი ---------- 6 გვ.
4. ცხრილი გრუნტების თვისებებზე ---------- 1 გვ.
5. ცხრილი გრუნტის წყლის ქიმიურ შედგენილობაზე ---------- 2 გვ.
6. მოედნის ტოპოგეგმა ---------- 1 ფურც.
7. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები ---------- 3 ფურც.
8. მოედნის გეოლოგიური ჭრილი ---------- 2 ფურც.

პროექტით საკვლევ მოედანზე უნდა აშენდეს მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი. კონსტრუქციულად შენობა გადაწყვეტილია რკინა ბეტონის კარკასში. შევსება იქნება აგურით ან ბეტონის წვრილი ბლოკებით. რაც შეეხება საძირკვლის ტიპსა და ჩაღრმავებას, ის გადაწყდება მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევის შემდეგ.

მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების დასადგენად საკვლევ მოედანზე ავტომანქანაზე დამონტაჟებული საბურღი დაზგით. გაყვანილი იქნა 3 ჭაბურღილი. თითოეული 15 მ. სიგრძის. ჭაბურღილებიდან აღებული იქნა

ნიმუშები მათი თვისებების დასახასიათებლად. აღებული იქნა აგრეთვე გრუნტის წყლის სინჯები მათი ქიმიზმის დასადგენად.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის შედეგად საკვლევ მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ფენა 1 – ნაყარი გრუნტი
2. ფენა 2 – თიხნარი ხვინჭის შენარევით 5-10 %-მდე
3. ფენა 3 – თიხა, ძნელადპლასტიკური ხვინჭა კენჭების ჩანართით 10-15%.

ანგარიშში მოკლედ არის მოცემული საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური და გეოლოგიური პირობები. მოცემულია როგორც თიხნარების ისე თიხების ფიზიკურ-მექანიკური თვისებათა დახასიათება. ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის შედეგად ავტორი იძლევა თავის წინადადებებს მომავალი შენობის ფუძე-გრუნტების შერჩევის თაობაზე.

მოედნის ჰიდროგეოლოგიური პირობებიდან აღნიშნულია, რომ გრუნტის წყალი დაფიქსირდა მიწის ზედაპირიდან 2,6-2,9 მ. სიღრმეზე. წყალი აგრესიულია ბეტონის ნაკეთობის მიმართ.

## დასკვნა

ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები ქ. თბილისში, დიდ დიღომში შპს. „ამხანაგობა ჩვენი სახლი“-ს კუთვნილ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ ნაკვეთზე №038/829 აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმების მოთხოვნებს. ცალკეული შენიშვნები ჩვენს მიერ გამოთქმული სამუშაოების მიმართ ავტორის მიერ მიღებული იქნა და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები.

ამრიგად, წარმოდგენილი ანგარიში შეიძლება დაედოს საფუძვლად მშენებლობის პროექტს საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილში.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის**
**გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების**
**მიმართულების ხელმძღვანელი ტმდ**
**პროფესორი** გ. ჭოხონელიძე